ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23
ტელ: 25-93-21, ფაქსი: 25-93-13

N 05/721
18/02/2016

721-05-2-201602181854

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის მინისტრს,

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილეს

ბატონ ნოდარ ჯავახიშვილს

ბატონო ნოდარ,

გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებს (შუშანეთი, ზედა კირნათი, კობალეთი, მარადიდი, ძაბლავეთი, ქედქედი, სინდიეთი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქოქოლეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი) დღეის მდგომარეობით არ აქვს მინიჭებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სოფლების ცხოვრების პირობები, კერძოდ, დემოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო და პერიფერიული კრიტერიუმების თვალსაზრისით შეესაბამება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ,,მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამატებით განხორციელდეს აღნიშნული სოფლების საკითხის განხილვა და გამონაკლისის სახით მიენიჭოთ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სოფლები მდებარეობს საზღვრისპირა ზოლში და კანონმდებლობის შესაბამისად ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მოსახლეობაზე საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესს. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია იმ გარემოების გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით საზღვრისპირა 500 მეტრიან ზოლში იკრძალება მიწის ნაკვეთების

კერძო საკუთრებაში გაცემა, რაც იწვევს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და მიგრაციას.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი მიიღოთ ცნობად და შესაძლებლობის ფარგლებში დასახელებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით განიხილოთ მათზე მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საკითხი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ წერილში აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით მდგომარეობის ამსახველ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ნადიმ ვარშანიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა